



საპროფესიონალიზმის სსრ უნივერსალიზაციის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიონალიზმის სახელმწიფო საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 დეკემბერი, თბილისი, 1987 წ. № 231 (9642) © შპსი ს კაპ.


გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პროფესიონალიზმი სპორტში

პროფესიონალიზმი სპორტში, სპორტის პროფესიონალიზმის, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, და პროფესიონალიზმის სახელმწიფო საბჭოს ორგანო

პროფესიონალიზმი სპორტში, სპორტის პროფესიონალიზმის, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, და პროფესიონალიზმის სახელმწიფო საბჭოს ორგანო

პროფესიონალიზმი სპორტში, სპორტის პროფესიონალიზმის, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, და პროფესიონალიზმის სახელმწიფო საბჭოს ორგანო



## პროფესიონალიზმი სპორტში

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

4 დეკემბერს დონეცკში, რიგსა და ტაილში განახლებულ უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. დონეცკში იასპარეზებენ ცსკა, მოსკოვის „დინამო“, ადგილობრივი „შახტიორი“ და თბილისის „დინამო“, რიგაში — კაუნასის „უალვირისი“, ვილნიუსის „სტატიბა“, მინსკის რტი და ადგილობრივი ვეფი, ტაილში — ლენინგრადის „სპარტაკი“, კიევის ასკ და „სტროიტელი“, ადგილობრივი „კალევი“. „ლულოს“ მკითხველებს, ცხადია, აინტერესებთ დონეცკის ჯგუფის განრიგი:

### არდადეგები დამთავრდა

4 დეკემბერი. ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“.

5 დეკემბერი. ცსკა — „შახტიორი“, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

6 დეკემბერი. ცსკა — „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი).

თბილისის დინამოელებმა წლები ჩემპიონატი წარმატებით დაიწყეს, 5 შეხვედრა მოიგეს, 2 წააგეს და სატურნირო ცხრილში 12 ქულით კიევის არმიელებთან ერთად III-IV ადგილებს იყოფენ. გათამაშებას კი 14-14 ქულით ცსკა და ჩვენი ქვეყნის შარშან-

ცსკა	თ. მ. წ.	ბ.	ქ.
„უალვი“ (კაუნ.)	7 7 0	696-564	14
„დინ.“ (თბ.)	7 7 0	650-555	14
„დინ.“ (მინსკი)	7 5 2	634-636	12
ასკ (კიევი)	7 5 2	649-602	12
„სპარტ.“ (ლენ.)	7 3 4	662-621	10
რტი (მინსკი)	7 3 4	602-609	10
„სტროიტ.“ (კ.)	7 3 4	620-659	10
ვეფ (რიგა)	7 3 4	662-725	10
„კალევი“ (ტალ.)	7 2 5	590-610	9
„დინამო“ (მოს.)	7 2 5	586-588	9
„სტატიბა“ (ვილ.)	7 2 5	579-622	9
„შახტ.“ (დონ.)	7 0 7	500-599	7

მიზანსწრაფულად შემოიჭრა საკადრაგო ელიტაში 19 წლის ქეთევან არახაძე, საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა ქეთევან კახიანი. რომელი ერთი ჩამოვთვალო... საქართველოში ბევრი ნიჭიერი ქალიშვილია. მათი წარმატებების საწინდარი კი ტალანტებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება განსვავთ.

საქართველოში მამაკაცებიც კარგი მოჭადრაკეები არიან, მაგრამ არ ვცდები, წარმატებები მათ სამწევრთნელო ასპარეზზე უფრო აქვთ, თუმცა მსოფლიო დონე აქაც იგრძნობა — თამაზ ვიორგაძე ესპანეთის ნაკრებს წვრთნის, ზურაბ აზმაიფარაშვილი — კასპაროვის, ელიზბარ უბილაძე — კარპოვის.


ამ დღეებში ქადრაკის გულშემოტიკვართა ყურადღებას იქცევს ეს-

### კარგი დავიუბი

ლვოვში დამთავრებულ სსრ კავშირის I ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში 17 წლის თბილისელმა ოსტატმა ლმა ჯანჯღაძემ 8,5 ქულა მოაგროვა და VII ადგილს დაეუფლა. ასეთი რანგის ტურნირის დებიუტანტისთვის ეს ურიგო შედეგი არ არის. მას ხომ 8 საერთაშორისო დიდოსტატთან და 4 საერთაშორისო ოსტატთან მოუწია ბრძოლა. ჯანჯღაძემ უკან ჩამოიტოვა 5 დიდოსტატი, 1 ფიდეს ოს-

ტატი და ყველა (4) ეროვნული ოსტატი. ბოლო ორ ტურში იგი დაუზავდა ჯერ შეჯიბრების ლიდერს ვ. ივანჩუკს, ხოლო შემდეგ დიდოსტატ ო. რომანიშინს.

თბილისელმა დიდოსტატმა გენადი ზიჩიკომა უფერულად ჩაატარა ტურნირი და 6,5 ქულით XVII-XVIII ადგილები გაიყო. XV ტურის გადადებულ პარტიამ იგი დამარცხდა კაიდანოვთან, შემდეგ დაუზავდა ნოვიკოვს, ხოლო ბოლო ტურში სძლია ღრევეს.



### იხვ ნინო სალუქვაძე

პენსიანტი იარაღით სროლაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ეტაობრივი შეჯიბრებაა და სპორტსმენებს გადაწყვეტის ასპარეზობის საგზურის მოსაპოვებლად ბრძოლა ნახევარფინალებში უხდებათ.


საქართველოს მსროლელები კიევში ასპარეზობდნენ მასპინძელთა, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად. დებულების მიხედვით, თითოეულ დისციპლინაში მხოლოდ ექვს საუკეთესოს ეძლეოდა ფინალში მონაწილეობის უფლება. ამოცანა იოლად გადაწყვიტა ნინო სალუქვაძემ, მან 33-2 ვარჯიშში 384 ქულა დააგროვა, ფინალში ამას კიდევ 96 დაუხატა და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.

ალსანიშნავია აგრეთვე ნინოს თანაკლუბელის, თბილისელი არმიელის არტემ ძამოევის გამოსვლა. 18 წლის სპორტსმენმა პენსიანტი შაშხანის სროლაში (პშ-6) 686 ქულა მოაგროვა (589-95) და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამასთან მისი ორივე შედეგი (589 და 686) საქართველოს ახალი რეკორდია. გამოეგმა კიევში III ადგილი დაიკავა.

„გაქცეულ ტახტზე“, სროლაში (გპ-11) მესამე იყო ქუთაისელი სპორტსმენი ილია ჩაგანავა (ქდინამო) — 381.

გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები მხოლოდ მასპინძელს ჩამორჩა.

## ვინ განსვავ საქართველოს ვალკანნი?



### შაბათს, 5 დეკემბერს!

პარტიულ კილაობაში რესპუბლიკის აბსოლუტური ფალავანი, ტრადიციულად, წლის ბოლოს ვლინდება, ასე იქნება წლეულსაც. 5 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ამ საპატიო ტიტულისთვის მებრძოლი მოჭიდებები შეიკრიბებიან და გამარჯვებულს იმავე დღეს გამოვლინდება. შეჯიბრება, რომელსაც, დარწმუნებულ ვართ, ბევრი გულშემოტიკვარი ეყოლება, 17 საათზე დაიწყება.

საქართველოს აბსოლუტური ფალავანი საპატიო და საამაყო ტიტულია, რომლის მოპოვებამაც ყველა მოჭიდებე ფარულად თუ აშკარად ოცნებობს. და რაზან აგრეთვე საამაყოა, ფალავანობისთვის ბრძოლაში თითქმის ყველა უძლიერესი ცდის ძალას. ბოლო წლებში სხვებზე მეტი წარმატება ჯემალ მჭედლიშვილს აქვს მოპოვებული. იგი ორჯერ ზედიზედ გახდა აბსოლუტური ჩემპიონი.

სულ ახლახან, ორიოდ დღის წინ მჭედლიშვილმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა სამბოში. მანამდე კი... მარტში საბჭოთა კავშირის, იენისში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურა. მილანში გამგზავრების წინ (სადაც მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებო-

და) ჯემალმა განაცხადა: საქართველოს ფალავანის სახელისათვის გამართულ შეჯიბრებას უსათუოდ ჩამოვუსწრებ და მონაწილეობასაც მივიღებო. მით უკეთესი. წლეულის ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი იქნება.

წლეულის შეჯიბრებაში ორმოცამდე პრეტენდენტის გამოსვლას ვარაუდობენ, ისინი ოთხ ჯგუფად იქნებიან დაყოფილი. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება და აბსოლუტური ფალავანიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდება. თითოეულ მოჭიდებეს დაახლოებით ხუთი შეხვედრის ჩატარება მოუწევს.

ტრადიციულად გათამაშდება წარსულში სახელოვანი ფალავანების პრიზები (სანდრო კანდელაკის, არსენ მეოკიშვილის, ნესტორ ესებუას, დავით ხიზამბარაგის, იაკობ ეგნატაშვილის, კულა გლდანელის, კოსტა მაისურაძის, შაშო ვერულის, ზაქარო ბაკურაძისა და ანზორ კიკნაძის).

ძვირფასო თბილისელებო! შაბათს, 5 დეკემბერს ყველას თბილისის სპორტის სასახლეში გიყვებო. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება 17 საათზე დაიწყება.

# ალბათ სამართლებლო უმასპინძლებს

დსსსრში. ფართო პრობლემაა, რეკლამა. მაგალითად, შესანიშნავი რეკლამა გაიკეთა უნგრელი მოჭადრაკე ქალმა უჟუა პოლოვარს. ამერიკის ტელევიზიამ იგი კასპაროვ-კარპოვის მატჩის კომენტარულად კი მიიწვიო. ინტერვიუ პრობლემა და ცნობები მის შესახებ რეკლამულად იბეჭდებოდა თითქმის ყველა სპორტულ გამოცემაში, მათ შორის სსრ კავშირშიც, ამბობენ, რომ არსებობს ასეთი პლაკატიც: „უჟუა პოლოვარი უძლიერესი მოჭადრაკე ქალია მსოფლიოში“. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის თითოეული მონაწილე ქალი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს უჟუა პოლოვარს. რეკლამამ უნგრელი მოჭადრაკე ისეთ სიმაღლეზე დააყენა, რომ პრესტიჟული ყველა ტურნირების ორგანიზატორებიც კი დიდ პატივად თვლიან მის მიწვევას, მოჭადრაკეს სახარბილო ფინანსურ პირობებს სთავაზობენ. გული დაწყდება, შეგებრალბა ჩვენი მოჭადრაკეები, რომლებიც ჰირდაპირი, პატიოსანი გზით მიდიან, გაივლიან ყველაზე მაკარ სპორტულ შერჩევას, მიადგენ წარმატებებს ფიდე-ს ოფიციალურ ტურნირებში, და მაინც, უფროსობა უნი რეიტინგის მიხედვით მათ დები პოლოვარების ან შედ მოჭადრაკე ქალ პია კრამლინის გვერდით ან უფრო დაბლა აყენებენ, მათზე დაბლა, ვინც ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ციკლში მონაწილეობის მიღებას გაუბრუნდა.

რაც შეეხება ფიდე-ს ოფიციალურ ტურნირებს, წლებს ჩვენმა უმაჯობავედმა განსაკვირვებელი წარმატება მოიპოვეს. მსოფლიო ჩემპიონატი 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის გაიმარჯვა 15 წლის ალისა გალიამოვამ, 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ვილნიუსელი კამილა ბაგინსკაიტე. სმერდერესკა-პალანკაში პრეტენდენტთა ტურნირის აგზურები დასაკუთრეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა: მარტა ლიტინსკაამ, ნონა ვაფრინდაშვილმა და ირინა ლევიტინამ. პრეტენდენტები გახდნენ ნანა იოსელიანი და ქეთევან არანაძია. უცხოელი მოჭადრაკე ქა-

ლებიდან პრეტენდენტთა ტურნირში მხოლოდ პოლონელი აგნეშკა ბრუსტმანი მიიღეს მონაწილეობას. ამ ექვსეულს შარშანდელი ციკლის შედეგების მიხედვით შეუერთდებიან ელენა ანგილოვსკაია და ნანა ალექსანდრია. ასე რომ, პრეტენდენტთა ტურნირის რვა მონაწილედან შეიძლება სსრ კავშირის წარმომადგენელი, აქედან 5 — საქართველოსი. პრეტენდენტთა ტურნირი გაიხსნა ჩატარდება. სად და როდის, ეს ნოემბრის ბოლოს, ფიდე-ს კონგრესზე გადაწყდება, რომელიც სველიაში გაიმართება. სსრ კავშირის საქართველო ფედერაცია ამ კონგრესზე შეიტანს წინადადებას ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის 3-წლიან ციკლზე გადასვლის შესახებ. საქმე ისაა, რომ 2-წლიანი ციკლის დროს პრეტენდენტთა ტურნირი უნდა ჩატარდეს იანვარ-თებერვალში, ხოლო მატჩი მსოფლიო პირველობაზე — მომავალი წლის აგვისტო-სექტემბერში. ჩვენ კი გვინდა პრეტენდენტთა ტურნირი 1988 წლის მაის-ივნისში გაიმართოს, ხოლო მატჩი მსოფლიო პირველობაზე — 1989 წლის დსსსრში. მოიწონებს თუ არა ფიდე ამ წინადადებას, არ ვიცი. ბევრი დრო აღარ დარჩა და თუ ჩვენი წინადადება მიიღეს, პრეტენდენტთა ტურნირი, ალბათ, საქართველოში ჩატარდება.

ახლა თბილისში გამართული სსრ კავშირის ჩემპიონატის შესახებ. ეს ტურნირი იმით გამოირჩეოდა, რომ მასში უძლიერესი მოჭადრაკე ქალები მონაწილეობდნენ: 4 მათგანი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია, 4 — ზონალური ტურნირის, ხოლო 12 — შერჩევითი შეჯიბრების მონაწილე...

ჩემპიონატი სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა დაიკავეს და კიდევ ერთხელ დამტკიცეს, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალები უძლიერესები არიან.

**რიმა ბილუნოვა,**  
საერთაშორისო ოსტატი, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის 47-ე ჩემპიონატის მთავარი მსაჯის მოადგილე.



## წითალი ბარათი — პიუროკარტიზმს!

### სიტყვა სხვა, საქმე სხვა...

ვინც წარმოადგენს მეცხოველეობის კომპლექსის სოლიდურ შენობას ნახავს, ალბათ არ დაიჯერებს, რომ აქედან სულ რაღაც კილომეტრის დაშორებით მდებარე საწყობიც — მიხრეცილ-მოხრეცილი, სანახევროდ დაზარალებული ფარდლები, რომელთა შედარებით ღირსეულად თათქარძის სახლ-კარი კაცს ქარვასლა ეგონება — აღნიშნული ორგანიზაციის კუთვნილებაა. საწყობის საქმად ვრცელი ტერიტორია სანახევრადა ქცეული. მარცვლეულის გასანიავებელ კალთურ ტონობით ხორბალი ლაფში აწეულია და აწმორებულია. სიღამის სუნი, ნიავის წაშორებაზე, მთელ უბანს ეფინება. კალთზე და საწყობებში ვირთხები მომრავლებულან. იქნებ სწორედ მათი „დამსახურება“ უბანში ბოტანიკით დაავადების რამდენიმე შემთხვევა რომ აღინიშნა. სამი-ოთხი თვის განმავლობაში, ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე კალთზე მარცვლეულის ანთავებენ. აგრეთვე განუწყვეტელი ხმაური და მარცვლეულის განთავების ამღარი მტვრი, ახლომასლო სახლებსა და ეზოებს რომ ეფინება, აშკარა საფრთხის უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას. უოველივე ამან გამოიწვია ასანურში მცხოვრებთა სამართლიანი გულდისწყობა და აღშფოთება.

პირველი საჩივარი, რომელსაც სიღამის რაიონის ასანურის უბნის ფიროსმანის ქუჩის მოპინა-დრენი აწერდნენ ხელს, „ლელოს“ რედაქციაში 1985 წლის ბოლოს შემოვიდა. მომხივნი უფრადღედა მამხივლებდნენ იმაზე, რომ მქიდროდ დასახლებულ უბანში, სადაც კულტურული თუ სპორტული დანიშნულების არცერთი ობიექტი არ არსებობდა, წარის მეცხოველეობის კომპლექსის დირექციამ კომპლექსის კუთვნილი ტერიტორია სამოსახლოებად გასცა. „ლელოს“ ბრიგადა 1985 წლის დეკემბერში ეწვია სიღამის რაიონს. მომხივანთა წერილი მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. იმავე წლის 19 დეკემბრის ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით „კანონის გვერდის ავლით“, სადაც ვკითხულობთ: „ნუთუ დღეს კიდევ არიან ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც არად დაგვიღვენ მოსახლეობის ინტერესებს და ამჟობინებენ, მქიდროდ დასახლებულ უბანში, იქ, სადაც შეიძლება კულტურულ-სპორტული ცენტრის მოწყობა, მიწის ნაკვეთი სამოსახლოდ გასცენ“. და კიდევ —

„ქალაქში, სადაც რამდენიმე ათასი მცხოვრებია, თვითინებაზეა მიშველებული კულტურული და ფიზიკური-სპორტული მუშაობა. საცოდავი სანახევია კულტურისა და დახვეწების პარკი... იქვე მდებარე კალთში კი მხოლოდ კვანოფილმების აჩვენებენ (კლუბში მუდამ ანტისანიტარია). არავინ ზრუნავს ფასიანი გამაჩანსადებელი ჯგუფების გახსნაზე“. წერილის პირველად სიღამის რაიონის ხელმძღვანელობა გამოეხმაურა: „მართალია ასანურში და წარის მეცხოველეობის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე აშუამდ არ

არავის დაანგრიეს და არც უკნებოდა მათი დაზარალება სწორი. იმდენი შრომა და მასალა დასარება. ამას აღარაფერა ემგებება. სადაც კერ კიდევ საშველი აქვს, იმას მივხედოთ. რედაქციაში რაიონის ხელმძღვანელობიდან გამოგზავნილ საპასუხო წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „რაც შეეხება ფიროსმანის ქუჩის მცხოვრებთათვის სპორტული მოედნის მოწყობას, წარის მეცხოველეობის კომპლექსის დირექციას გადაწყვეტილი აქვს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული საწყობის ხსვა, უფრო მოხერხებულ ადგილებზე გადაიტანოს და იქ მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოაწყოს“. იმჯერებს, გადაწყვეტის, მაგრამ მას შემდეგ აგერ უკვე ორი წელი გავდა და გაცივით კი არაფერი გაკეთებულა. სხვათა შორის, სიტყვის, დაპირების აღსრულება ღირსების საქმეა, ხოლო, როცა სიტყვა გატყვენ, უკვე ხალხში ჩნდება სიტყვისა და საქმის დაშორების სტრუქტურა, ჩნდება უნდობლობა. ეს კი ზიანის მტერს არაფერს მოგვითქვან.

არც წარის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეასრულა თავისი სიტყვა: დანაბრები ორი მარტივი ტიპის მოედნიდან ქალაქში მხოლოდ ერთი მოედანი მოეწყო, ისიც დაგვიანებით. კულტურისა და დახვეწების პარკში



სიღამის რაიონის ასანურის უბანში მდებარე კულტურულ-სპორტული ცენტრის მოწყობის სამუშაოები.

რიტორიაზე არც კერძო სახლების მშენებლობა უოფლა გათვალისწინებული. ბინების მშენებლობა მოსახლეობამ მხოლოდ კომპლექსის დირექციის (დირექტორი რობინზონ აბულაშვილი) ნებართვის საფუძველზე დაიწყო. ამის შესახებ გარკვეულ დრომდე არაფერი იცოდნენ არც ქალაქის საბჭომ, არც მთავარმა არქიტექტორმა და არც რაიონის ხელმძღვანელობამ. ისე გამოდის, რომ ყველაფერი ეს მათ „ლელოს“ ფურცლებიდან შეიტყვეს. ვითომ? მწელი დასაჯერებელია, რადგან კომპლექსის დირექციის მიერ სამოსახლოდ გაცემული ნაკვეთების ხელში ჩაგდება ბერძნულ ენაზე და ამ ამბავმა ისეთი კონკურენცია და აუიოტაუი გამოიწვია, რომ ჩვენზე ადრე მათ უფრადღეც მიადგევდა.

გვიან შევიტყვეთო, — კი ბატონო, მაგრამ არაკანონიერი ქმედებისათვის რატომ მკაცრად არ მოეთხოვა პასუხი მეცხოველეობის კომპლექსის დირექციას. ანა როგორ მოხდა, რომ აკრძალვის მიუხედავად ასანურში ბინების მშენებლობა მაინც გაგრძელდა და უკვე წარმატებითაც დასრულდა. გამოდის, რომ პასუხით აგვიხივებს თვალი, თავად კი, რაც სურთ, იმას აკეთებენ. ეს რომ მუშაობის ძველებზე სტილია. აშენებულ სახლებს ახლა აღარც

კვლავ ანტისანიტარია, დამტკრეული სკამები, მოუვლელი ნარგავები და გავონები არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, ასევე მოუვლელია ასანურისა და კვენაკლის მიჯნაზე არსებული სპორტული მოედანი.

შემოთქმულში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა წარის მეცხოველეობის კომპლექსის დირექციის ეკისრება. მან კი არაერთგზის შეჩვენების მიუხედავად რედაქციას პასუხიც არ აღარსა. არადა, უკვე-ლაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ ტონობით გაფუჭებულ ხორბალს; კომპლექსის კალთზე რომ ლბება. „ამის შემხედვარე როგორები დაიზრდებიან ჩვენი ბავშვები. ორმოცი წელი სკოლაში ვიმუშავე. სულ ამას ვუმეორებდი ბავშვებს — პურს — მუშა კაცის ჭაფას ციცი მეთუი პატივი. ლიტონის სიტყვით ვის დააქვრებ“ — გულისტკივილით შემომხივლა ფიროსმანის ქუჩის კომპლექსის თავმჯდომარე ქალბატონმა ნანა რამიშვილმა.

პურის მაღლი განმწერსო, თუ ვიცხრო — ძველები იფიცებოდნენ.

ალექსანდრე ბაკოშვილი.  
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.  
სიღამი.

## სპორტული ოჯახი

ლევანში ტამარა პოლიაკოვას და ალექსანდრე ავერინის ოჯახს სპორტულ ოჯახს უწოდებენ. პოლიაკოვა მსოფლიო ჩემპიონია 50 კმ-ზე გუნდურ ველორბოლაში. წლებულს მან პირველად მიიღო მონაწილეობა „ტურ დე ფრანსში“, რომელიც მეტად პრესტიჟული ასპარეზობაა. უკრაინელმა სპორტსმენმა ამ შეჯიბრებაში ორი ეტაპი მოიგო და სამოლოო ჯამში მეოთხე იყო. ველოსპორტის დამსახურებული ოსტატი, მშვიდობის ველორბოლებში გამარჯვებული. ახლა იგი არმიელ სპორტსმენთა მწვრთნელია. მათი ვაჟი მაქსიმე, რომელსაც მალე ორი წელი შეუსრულდება, ჭერჭერობით სამთვლიანი ველოსიპედითაა გატაცებული.



სურათზე: სპორტული ოჯახი. (საქდესის ფოტოკორიკა).

## პირველი უხვეპლრაბი ფრანგებთან

მატივეცემული რედაქცია უფროსებისგან გვსმენია, რომ უცხოელ ველოსიპედისტებს ჩვენი სპორტსმენები ომადღაც შეხვედრიან. მართალია თუ არა ეს? **ნ. ტიპაძე, ბ. ჯონაძე.**

— 1929 წელს საბჭოთა კავშირის ფრანგი პროფესიონალები ეწვივნენ. ჩაატარეს რამდენიმე შეხვედრა მოსკოვში, ტულაში და ლენინგრადში. იყვნენ თბილისშიც. აქ ძველ ტრეკზე გაიმართა სპორტერთა შეჯიბრება. თბილისელთაგან სხვებზე უკეთ იასპარეზა გიორგი ლუქაძემ, რომელმაც ყველი რბოლა მოიგო. სახანაობს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ გადატყლა ტრეკისა და ტრიბუნების გამოყოფა ბარიერი და შეჯიბრება ნახევარი საათით შეწყდა.

ომის შემდეგ ტულაში გაიმართა საფრანგეთისა და საბჭოთა ველოსიპედისტთა შეხვედრა სპრინტისა და სალიდერო რბოლაში (1949 წელი, სექტემბერი), მონაწილეობა მიიღეს იმდროინდელმა უძლიერესმა სტაიერებმა, ქვეყნის ჩემპიონმა ფ. ტარაშკოვმა, ქვეყნის რეკორდსმენმა ლ. ზაპორტმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. გუნიაშვილმა. იყვნენ თბილისშიც. აქ ძველ ტრეკზე გაიმართა სპორტერთა შეჯიბრება. თბილისელთაგან სხვებზე უკეთ იასპარეზა გიორგი ლუქაძემ, რომელმაც ყველი რბოლა მოიგო. სახანაობს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ გადატყლა ტრეკისა და ტრიბუნების გამოყოფა ბარიერი და შეჯიბრება ნახევარი საათით შეწყდა.

სეს სტარტზე. ფრანგებმა რბოლა აქტიურად დაიწყეს, მაგრამ მერე და მერე მდგომარეობა გათანაბრდა, ფინიშიმდე 5 კილომეტრით ადრე ზაპორტმა ბრძოლა შეწყვიტა. აი, სწორედ ამ მომენტში შესამჩნევად გაზარდეს ტემპი ავთანდილ გუნიაშვილმა და მისმა ლიდერმა გიორგი ლუქაძემ (ეს უკანასკნელი ამ დროისთვის ჩვენი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი იყო და ტაქტიკურ ბრძოლაში ბრწყინვალედ ერკვეოდა). ბოლო კილომეტრზე ამ დუეტმა ყველას გადაუსწრო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა — 20-59.6.

საინტერესოდ წარმართა სპრინტერთა რბოლა, რომელშიც ი. იპოლიტოვმა ფრანგი ვ. ნანინი დაამარცხა.



სურათზე: ა. გუნია და გ. ლუქაძე (მეორე პლანზე) უსწრებენ ფრანგთა ლუქს.



# საფრთხელი მატი

**თბილისის** „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ბრემენის „ვერდერთან“ უფროს თასის მერვედფინალური განმეორებითი მატჩისათვის ემზადება.

გუშინ დილოში, დინამოელთა საწვრთნელ ბაზაზე, გაიმართა საწვრთნელი მატჩი „დინამოს“ ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა შორის. შეხვედრა დამთავრდა ძირითადი შემადგენლობის გამარჯვებით — 5:2. ამ შემადგენლობიდან ბურთები გაიტანეს: გურულმა (2), ჭედიამ, შენგელიამ და კეტაშვილმა, დუბლშემადგენლობიდან — კორლაიძემ და მესხმა. ვაგაცნობთ გუშინდელი შეხვედრის მონაწილეებს. ძირითადი შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედიამ, სვანაძე, რევიშვილი, ქეცბაია, სულაქველიძე, ცვიბა, გურული, შენგელია. დუბლიორთა შემადგენლობა: ჭანტურია, მიქაბერიძე, კაკილაშვილი (ჩადუნელი), კობალეიშვილი, არზიანი, ახვლედიანი (მჭედლოიშვილი), ფირცხალავა, ტყეშელაშვილი (ჯიშყარიანი), კორლაიძე, ფაცულოია, მესხი.

მატჩის შემდეგ ინტერვიუზე დაგვთანმდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი გერმან ზონინი.

**საპასუხო მერვედფინალური მატჩამდე მხოლოდ შვიდი დღე დარჩა. რას გვეტყვი ამ მოკლე პერიოდში გუნდის მზადების შესახებ?**

— 28 ნოემბერს დინამოელებს დაგეგმილი ჰქონდათ გამგზავრება ბულგარეთში. გერმანიიდან გუნდი გვიან ჩამოფრინდა და ამიტომ წას-

ვლაზე უარი ვთქვი. ახლა ყველა ღონე უნდა ვინაობთ, რომ დარჩენილ დღეებში მაქსიმალურად მოვემზადოთ 9 დეკემბრის საპასუხო მატჩისათვის.

**კონკრეტულად დღევანდელი „მეტოქების“ ვარა ვინ აირჩიეთ სპარინგ პარტნიორებად?**

განმეორებით მატჩამდე დაგეგმილი გვაქვს ორი საკონტროლო შეხვედრა: სამ დეკემბერს გორში „დინამოსთან“ და ხუთში ბათუმში ადგილობრივ დინამოელებთან.

**რაიმე ცვლილებები ხომ არ არის გუნდში? რა მდგომარეობაა ტრავმების მხრივ?**

ცვლილებებისა რა მოგახსენოთ. დღევანდელ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვნახეთ ყველა, ვისაც შეუძლია განმეორებით მატჩში მონაწილეობის მიღება. სერიოზულ ტრავმებს კი საბედნიეროდ არც ერთი ფეხბურთელი არ უჩივის.

**მომავალ მატჩზე რას იტყვი?**

— კიდევ ერთხელ იმის თქმა, თუ წილისყრამ რა დონის გუნდი შეგვავხვედრა, ზედმეტად მიმანია. ეს თამაში ცენტრალური ტელევიზიით გადმოიცა და ყველამ კარგად შეაფასა „ვერდერის“ ძალა. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გავახსენოთ: ბუნდესლიგის ჩემპიონატში პირველ ადგილზე მყოფ გუნდს დინამოელები ორი ტაიმის განმავლობაში ფიზიკური მომზადებით ტოლს არ უღებდნენ. დანარჩენს თვითონ განმეორებითი მატჩი გვიჩვენებს. **ზაზა მახაძე.**



საწვრთნელი მატჩის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



# ფეხბურთი გულშემატკივრისათვის

**12 დეკემბერს მოსკოვში, ლუნიჩის ხეობის სახელში მინიფეხბურთში გულშემატკივართა პირველი საკავშირო ჩემპიონატი გაიხსნება. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის გუნდების „სპარტაკის“, „ტორპედოს“, „დინამოს“, „ლოკომოტივისა“ და ცსკა-ს გულშემატკივრები.**

ამ საინტერესო შეჯიბრების მოთავენი არიან ვაზეთ „კომსომოლსკაია პრადის“ რედაქცია და პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭო. ყოველ ახალ შეჯიბრებას

გარკვეული საორგანიზაციო სიძნელეები ახლავს ხოლმე, შესაძლოა, ფეხბურთის გულშემატკივართა ეს ახალი ტურნირიც დასაწყისში ასეთი გამოდგეს, მაგრამ იდეა, უდავოდ, საინტერესოა. შემდგომში შეიძლება შეჯიბრების დეტალებს დახედე, იგი მართლაც საკავშირო ღონისძიებად იქცევა. გულშემატკივრებს, მათ შორის კი სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის აღამიანები არიან, შესაძლებლობა ექნებათ გაიუმჯობესონ ჩანჩრთელობა, მათ მიეცემათ აქტიური დასვენების საუკეთესო შესაძლებლობა.

გულშემატკივართა ტურნირის პირველ ეტაპზე მონაწილეობის მიღება შეუძლია ფეხბურთელთა ნებისმიერ კოლექტივს, შეზღუდვა მხოლოდ ერთია — ოსტატთა გუნდების წევრებს უფლება არა აქვთ ითამაშონ გულშემატკივართა გუნდებში.

მოთამაშეთა რაოდენობას, შეხვედრათა ადგილს, თამაშის წესებს განსაზღვრავს ეს ორგანიზაცია, რომელიც ამ ეტაპის ტურნირს მართავს. ასეთი ორგანიზაციები შეიძლება იყოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ადგილობრივი საბჭოები, სარაიონო და საქალაქო სპორტკომიტეტები, კომპავშირის

კომიტეტები, გულშემატკივართა კლუბები და ა. შ., მაგრამ საკვლევებლო პირობა ისაა, რომ შეჯიბრების ჩამატარებლმა შტაბმა უყველა გუნდისგან წინასწარ მიიღოს ექიმის მეთვალყურეობის განაცხადები, მოთამაშეთა ზუსტი შემადგენლობანი.

ტურნირის პირველ ეტაპზე (1987 წლის დეკემბერი — 1988 წლის თებერვალი) ეწყობა მასობრივი შეჯიბრებები ადგილებზე მინიფეხბურთის გამარტივებული წესებით, ამ შეჯიბრებათა საანგარიშო წერილები უნდა გაეგზავნოს „კომსომოლსკაია პრადის“ რედაქციას 1988 წლის 20 თებერვლამდე.

მეორე ეტაპზე (1988 წლის მარტი, მოსკოვი) იმართება ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს იმ რეგიონების 20 გუნდი, სადაც კომპეტენტური ყიურის შეხედულებით პირველი ეტაპის შეჯიბრებები ჩატარდა ყველაზე უფრო ორგანიზებულად და მასობრივად. გულშემატკივართა შეჯიბრებები მინიფეხბურთში გაიმართება დასვენების დღეებში, არასამუშაო დროს, მონაწილეთა სამუშაოდან მოუწყვებლად.

ფეხბურთის მოყვარულთა ამ შეჯიბრებებს სათანადო ყურადღება უნდა მიაპყრონ იმ კოლექტივების ხელმძღვანელებმა და მოთამაშებებმა, რომლებიც სსრ კავშირის ჩემპიონატში გამოდიან. მათ შეუძლიათ ავარჯიშონ გულშემატკივართა გუნდები, კონსულტანტობა გაუწიონ, იმსჯიონ.

**რუსთაველის** პროსპექტზე, საქინფორმის შენობის ვიტრინაში გამოკრულ ბრემენის „ვერდერის“ და თბილისის „დინამოს“ პირველი მერვედფინალური მატჩის ფოტოსტენდს ბევრი მხანველი ჰყავს. საქინფორმის ფოტოკორესპონდენტის მალხაზ დათიკაშვილის ნამუშევრებმა, ისევე როგორც ბუქარესტში გადაღებულმა ფოტოებმა, ამჯერად ცდილობენ მოწონებას დაიმსახურეს.

„ლოლოს“ ფოტორეპორტიორმა ალექსანდრე კოტორაშვილმა ფირზე აღბეჭდა ფოტოსტენდთან შეკრებილი ხალხის ერთი ჯგუფი, ჩვენმა კორესპონდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ კი რამდენიმე მოქალაქეს სამი ერთნაირი შეკითხვით მიმართა:

- 1. რას განიცდიდით, როცა ბრემენიდან მატჩის ტელერეპორტაჟს უცქერდით?
- 2. როგორია თქვენი პროგნოზი მეორე მატჩის წინ?
- 3. რამდენად მიზანშეწონილია მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებების შემდეგ ანალოგიური ფოტოსტენდების მოწყობა?

**რეზო შეროზია** (ბათუმი), ინჟინერი:  
1. პირველი მატჩის წინ უიმედოდ არ ვიყავი, მაგრამ ვვარაუდობდი, რომ „დინამო“ ორი ბურთის სხვაობით, კერძოდ კი ანგარიშით 1:3 დამარცხდებოდა. დარწმუნებული ვიყავი ერთ გოლს მაინც გავიტანდით. მატჩის მსვლელობისას, რა დასაბამალია, დიდ მღელვარებას განვიცდიდი.

2. 3:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.  
3. 45 წლის კაცი ვარ, 7 წლიდან „დინამოს“ ვგულშემატკივრობ, ასე რომ, თამაზად გეტყვი, ასეთი სტენდების მოწყობა უდიდესი საქმეა, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუ ეს მხოლოდ თბილისის პრივილეგია არ იქნება და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსაც გადაეცემა.



**ლელა ყურაშვილი, ლინგვისტი:**

- 1. პირველმა მატჩმა, ძველი, ის დრო მომავონა, როცა „დინამო“ ზენიტში იყო და ფეხბურთი საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა.
- 2. მეოთხედფინალში ჩვენ გავალთ.
- 3. ასეთი სტენდების მოწყობა, უბრალოდ, აუცილებელია!

**ნოდარ რაზმაძე, მშენებელი:**

- 1. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ „დინამო“ თავს არ შეირცხვენდა.
- 2. შემდეგ ეტაპზე „დინამო“ ითამაშებს.
- 3. ფოტოსტენდები აუცილებლად უნდა კეთდებოდეს, მაგრამ არა მარტო აქ, სხვა ადგილებშიც. **გია ბერიძე, სტუდენტი:**  
1. მატჩის დამთავრების შემდეგ სიამაყის გრძობა დამეუფლა — „დინამო“ ღირსეულად ეთამაშა გუნდს, რომელმაც სამი კვირით ადრე დიდი ანგარიშით 6:2 დაამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“.  
2. მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა „დინამოს“ გამარჯვებისა.

3. ფოტოსტენდები, რა თქმა უნდა, საჭიროა. თანაც, სასურველია რომ ეს კეთდებოდეს არა მარტო საფეხბურთო მატჩების შემდეგ, სპორტის სხვა სახეობაში ჩატარებული მნიშვნელოვანი შეჯიბრების შემდეგაც.

**გიორგი ოქროშვილიძე, მეცნიერ-მუსიკა:**

- 1. ვერვიულობდი, რაც უფრო ახლოდებოდა საფინალო სასტენი, მით უფრო მატულობდა დამაბულობა.
- 2. როცა ბუნდესლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდთან, მით უმეტეს ლიდერთან გავს საქმე, სპარტაზობის ბოლო წამამდე სრული მობილიზებით უნდა იბრძოლო. თუ დინამოელები თვითდამშვიდდებიან არ მიეცემა და თბილისშიც ისეთივე თავადებით იბრძოლებენ, როგორც ბრემენში, დარწმუნებული ვარ ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ჩვენ გვინდა.
- 3. ასეთი ფოტოსტენდები სპორტის პროპაგანდის ჩინებული საშუალებაა.

## ფეხბურთი

**კოში.** იტალიის დედაქალაქის სიმბოლო უძველესი კოლიზეუმი, მონასტური ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოთა დროშებით და საფეხბურთო მინდორის გამოსახულებით — ასე გამოიყრება მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური პლაკატი, რომლის ავტორია ცნობილი იტალიელი მხატვარი ალბერტო ბური. ახალი პლაკატის ოფიციალური წარდგინება მოხდა იტალიის დედა-

## დროშები კოლიზეუმი...

ქალაქში. პლაკატები დიგზანა მსოფლიოს ყველა კუთხეში.

— ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება მხოლოდ ამ პლაკატის გამოშვებით არ ამოიწურება, ვანუცხადა ჟურნალისტებს საორგანიზაციო კომიტეტ „იტალია-90“-ის დირექტორმა ლუკა მონტეცი-მოლომ. 10 დეკემბერს ციურბში

ფიფა-ს ოფიციალურად წარუდგინენ იტალიის 12 ქალაქის სიას, რომლებიც თვითნებ სტადიონებზე მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს. ეს ქალაქებია რომი, ნეაპოლი, ფლორენცია, მილანი, ტურინი, გენუა, ვერონა, უდინე, ბარი, ბოლონია, პალერმო და კალიარი. ჩემპიონატის

პირველი მატჩი დაგეგმილია 9 ივნისისთვის, ფინალი — 8 ივლისისთვის. საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა მოლაპარაკებას სხვადასხვა ფირმებთან: „ოლივერის“ კონცერნი ითავებს ინფორმაციითა გადაცემას, ავიაკომპანია „ალიტალია“ და საავტომობილო ფირმა

„ფიატი“ იტალიის სახელმწიფო რკინიგზასთან ერთად ტრანსპორტით უზრუნველყოფენ ტურისტებს, გულშემატკივრებს, სპორტსმენებს.

ლ. მონტეციმოლომ განაცხადა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს პრობლემები საქმარისად აქვს. ეს უპირველესად ენება სტადიონებს, ვინაიდან მრავალი მათგანი სერიოზულ რემონტს საჭიროებს ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა ჩამატარებლად.

## ფეხბურთი



**ალხანისხანავა,** რომ „მადაროელისა“ და „მზურისა“ შეხვედრისას „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოხდა აღმაშფოთებელი ინციდენტი. მატჩის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა ერთმა ჯგუფმა გააჩვიდა მილიციელთა მჭირები და გადაიჭრა სათამაშო მინდორზე, გადელი ფეხბურთელები კი გარს შემოერტყნენ მსაჭებს და ყველას თვალწინ ხულიგნურად, ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ.

ეს ყოველად დაუშვებელი ამბავი შენაბამისი ორგანოების მხკელობის საგანად უნდა იქცეს.



**პარი პასპაროვი**  
ანატოლი პასპაროვის  
მხატვრული მხატვრობის  
მსოფლიო ჩემპიონის  
სახელმწიფოს



### მეთოქებზე პარტია

მეთოქებზე კვლავ ახალ დებიუტს მიმართეს. ამჯერად გაითამაშეს ლაზერის გამბიტის მეთადრული ვარიანტი. სხვათა შორის, ეს ვარიანტი მათ მატჩებშიც შეგვხვდა. დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონს ჰქონდა, მაგრამ კარპოვმა ფიგურები გაცვალა და უკვე 30-ე სვლისთვის დაფარე მხოლოდ თითო ვტლი და 3-3 პაიკი დარჩა. მოწინააღმდეგეებმა კიდევ რამდენიმე სვლა გააკეთეს და დაზავდნენ. მე-19 პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

**პ. პასპაროვი — პ. პარპოვი**  
**ლაზერის გამბიტ**  
1. c4 e6 2. d3 d5 3. d4 e7 4. f3 f6 5. g5 h6 6. g4 0-0 7. e3 h6 8. jე2 jh7 9. j: f6 j: f6 10. cd ed 11. b4 c5 12. bc bc 13. ეb1 jე6 14. 0-0 d7 15. jh5 ლ7 16. ლd3 ეfc8 17. ეfc1 ეab8 18. h3 გ6 19. j: c6 ე: b1 20. ლ: b1 ლ: c6 21. dc ლ: c5 22. მე2 ლf8 23. h4 მე5 24. მე5 j: e5 25. ეd1 ლc5 26. h5 ლc2 27. ლ: c2 ე: c2 28. ე: d5 ე: e2 29. ე: e5 ე: a2 30. hg fg 31. ეe7 a5 32. ეa7 a4 33. გ3 h5 34. მეგ2 a3 35. e4 გ5 36. მეფ3 გ4+ 37. მეფ3 ეa1 38. მეფ4 ეf1 39. მეგ5 ე: f2 40. მე: h5 ეe2.  
ყამი.

## ათიდან უპილი ოქროს მედალი საბჭოთა ფალანგს


**ულან-ბატორი.** მსოფლიო თაისის გათამაშება ჰილობაში გუნდური შეჯიბრება. მაგრამ მთავარი პრიზის გარდა ცალკეულ წონებში გამორჩეული ათლეტები ოქროს მედალებსაც იღებენ. ასე რომ ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლა ორმაგად საბატია.

საბჭოთა ჯიბის ნაკრები თავისუფალ ჰილობაში მსოფლიო თაისის მრავალჯობის მფლობელია და ბუნებრივია, ამჯერადაც, გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. იარიგინმა გუნდი სანახევროდ გადაახალისა. ახალგაზრდა მოქიდავეებისთვის ეს ტურნირი მართლაც ოსტატობის დიდებული სკოლა იყო და ბევრმა და-

იმკვიდრა კიდევ ადგილი ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში.

საბჭოთა მოქიდავეების უახლოეს კონკურენტებად მონღოლეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები ითვლებოდნენ. ამიტომაც ჩვენმა ფალანგებმა მაქსიმალური მონდობებით სწორედ ეს შეხვედრები ჩაატარეს. მონღოლეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ (9:1) გუნდს აშშ-ს მოქიდავეებთან მოუხდა ბრძოლა და ისინიც დიდი უპირატესობით (8:2) დაამარცხა.

პირად ასპარეზობაში საბჭოთა ფალანგებმა ათიდან შეიძინა ოქროს მედალი დასაკუთრეს, გამარჯვებული შორის არიან: სერგეი კარამჩაოვი (48 კგ), სერგეი ზამბალოვი (52 კგ), კამალუტდინ აბ-



დულდაულოვი (57 კგ), სტეფანე სარქისიანი (62 კგ), აბდულა მგომელოვი (68 კგ), ლუკმან ებრაილოვი (82 კგ) და დავით გობეჯიშვილი (180). ორ წინაში 74 და 100 კგ-ში პირველობა აშშ-ს მოქიდავეებმა მოიპოვეს, 90 კგ-ში ოქროს მედალი კი დუგჩინს (მონღოლეთი) გადაეცა.

სპეციალურმა ეიორიმ ყველაზე ტექნიკური მოქიდავისთვის დაწესებული პრიზი სერგეი კარამჩაოვის მიანიჭა.

**რატომ სწევს ადამიანი სივარეტს?** რა ხიზლავს მას ამ პროცესში? თამბაქო ერთგვარად აღმზუნები საშუალებებია და ადამიანზე ნარკოტიკული მოქმედებს. იყო დრო, როცა კაცობრიობა ანგარიშმიუტყმელად მისდევდა ამ მავნე ჩვევას, რომელიც დროთა განმავლობაში ძვალსა და რბილში გავდა. გავიდა დრო და ნიკოტინის შხამის დამღუპველი გავლენა ორგანიზმზე მთელმა მსოფლიომ, განსაკუთრებით კი მისმა ცივილიზებულმა ნაწილმა ჭეშვარიტად გააცნობიერა და ნიკოტინის წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრგან ორგანიზებული ხასიათი მივიდა. დიდი რუსი ფიზიოლოგი ი. პავლოვი ამბობდა: ნუ ეტანებით ალკოჰოლს, ნუ იტვირთავთ გულს ნიკოტინის შხამით, თუ გინდათ იცხოვროთ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ტიციანმა იცხოვრაო (დაახლოებით 100 წლამდე).

ხინჯი ფორმა მიიღო, საფრანგეთში, მაგალითად, ლუდოვიკო XIV კარზე თამბაქოს წვევასთან ერთად სავალდებულო ეტიკეტად ითვლებოდა. მისი ყნოსვა და ლეკვა.

მაგრამ ბევრ ქვეყანაში თამბაქოს მტრები გამოუჩნდნენ. ინგლისში XVI საუკუნის მიწურულს თამბაქო „ეშმაკისებულ მცენარედ“ გამოაცხადეს და მისი წვევა კანონით აკრძალეს, დანაშაულში შემჩნულს კი სიკვდილით სჯიდნენ. თურქეთში მწვეველ მამაკაცს სარზე სჯამდნენ. თამბაქოს წვევა კატეგორიულად იყო აკრძალული რუსეთში მანამ, სანამ პეტრე I სპე-

ციურე ღიზა გროვდება და ადამიანი მას ნელ-ნელა ეჩვევა. მაგრამ ქრონიკულ მოწამვლას და მის მავნე შედეგებს იგი თავს მაინც ვერ აღწევს.

სტატისტიკოსები ასეთ ცნობებსაც გვაწვდიან: 30 წლის განმავლობაში მწვეველი დაახლოებით 200 ათას სივარეტს სწევს, ანუ 160 კილოგრამ თამბაქოს, რომელაც 800 გრამ ნიკოტინს შეიცავს. განა შეიძლება ასეთი შხამიანი კვებით მოწამვლა უკველოდ ჩაიაროს? დასკვნა ერთია — ყოველი მწვეველი თავის სიცოცხლეს ყოველდღე იმოკლებს.

6. სმენის ორგანოების აქტიურობის დაქვეითებას, მხედველობის გაუარესებას, კანის სხვადასხვა დაავადებას,

7. სასქესო ჭირკვლების გადაგვარებას,

8. გონებრივი და შემოქმედებითი უნარების დაქვეითებას,

9. კუნთების ძალის შესუსტებას და შრომისუნარიანობის დაქვეითებას.

თამბაქოს ბოლი საერთო დისკომფორტის პირველი მიზეზია. მის სახიფათო მეზობლობას განსაკუთრებით მწვეველ ბავშვები განიცდიან: ნიკოტინი პასიურ მწვეველს უფრო აწუხებს, ვიდრე ნამდვილ მწვეველს. ავტომანქანის სალონში დაგროვილი ბოლი ერთ საათს ყოფნა, ფაქტიურად, სამი სივარეტის მოწვევას ნიშნავს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული ცნობების თანახმად მწვეველი მშობლების შვილებს (განსაკუთრებით ერთ წლამდე ასაკისა) სწრაფად უჩნდებათ ფილტვების დაავადება. ასეთ ბავშვებზე ამბობენ, რომ დღე-ღამის განმავლობაში ფაქტიურად ხუთამდე სივარეტს ეწევიანო.


ბავშვი პასიური მწვეველი დაბადებამდე შეიძლება გახდეს. ასე ახალშობილიდან, რომელთა დედებიც დღეში ხუთ სივარეტს ეწევიან, ოთხი დაბადებისთანავე იღუპება. სტატისტიკის თანახმად, მწვეველ მამაკაცს მეუღლე არამწვეველზე ოთხი წლით ადრე უკვდება. მწვეველი დედის შვილები სამჯერ უფრო ხშირად ხდებიან ავად, თანაც მათ დაბადებიდანვე უზინდებთ სასუნთქი გზები.

ადამიანი არ უნდა ეწეოდეს მწვეველი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც. ბევრ მწვეველს სურს თავი დააღწიოს ამ მავნე ჩვევას. სივარეტის წვევას მტკიცედ ნებისყოფით მჭევენ, მიზანდასახული ადამიანები ანებებენ თავს. მაგრამ ასეთ ნაბიჯს ისინიც კი ერთბაშად ვერ დგამენ: ჯერ მორალურად და ფიზიკურად ემზადებიან, მოწვეული სივარეტის რაოდენობას თანდათანობით ამცირებენ და გადაწყვეტენ ნაბიჯს მერე დგამენ. იყოს ასე, ოღონდ ბოლომდე გავიაზროთ ამ მავნე ჩვევის დამღუპველობა.

### კალათბურთის სიასლანი

1981 წელს მენეჯინგი იტალიური უნიონის „სუპერბასკეტის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ იგი 40 წლამდე არ აპირებს სპორტულ კარიერის დამთავრებას. შეიძლება ითქვას, რომ სპორტსმენი ჯერჯერობით სიტყვას არ სტყვის — ანგარიში 38 წელი შეუსრულდება. იტალიის კალათბურთის ვეტერანი კვლავ კარგ სპორტულ ფორმაშია და, როგორც ჩანს, აპირებს განზრახული შეასრულოს, თუმცა მილოტკში მიღებულ ტრავმას შეუძლია კორექტივი შეიტანოს მენეჯინის გადაწყვეტილებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს სეულის ოლიმპიური თამაშებისთვის მოამზადებს წინ ტომპსონი. მწვრთნელი წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას — უნდა შექმნას ძლიერი, მინოლითური კოლექტივი.



„თომოტი“ ვარსკვლავი, — თქვა ტომპსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძლიერ გუნდს.

როგორც ზაგრების „სპორტსკეი ნოვოსტი“ იტყობინება, პროფესიული კლუბის „ატლანტა ჰოუქსის“ შემადგენლობაში სტატიურების გასავლელად ჩაირიცხება ჩინეთის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი სონგ ტიანი.

ვინ არის დღესათვის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის საუკეთესო პლეიმიკერი? როგორც მოსალოდნელი იყო, 1987 წლის უძლიერეს პლეიმიკერად (ასე უწოდებენ ამერიკელებს გამოამაშებელს) აღიარეს ლოს-ანჯელეს „ლიეკერისის“ მცველი ირვინ (მეჭვი) ჯონსონი. ათეულში შევიდნენ: სლუპ ფლოუდი (სან-ფრანცისკო „უორიორისი“), პატ ჯევერი (დენვერ „ნაიკისი“), დერეკ პარპესი (დალას „მევერისი“), ტერი პორსტერი („პორთლენდთრიულ ბლუიზ“), მაურიკ ჩეკსი („ფილადელფია-76“), ისაი ტომასი („დეტროიტ პისტონი“), რეჯი თელსი („ვაშინგტონ კინგსი“), გლენ რივერსი („ატლანტა ჰოუქსი“), ჯონ ლუკასი („მილუოკი ბაქსი“).

რედაქტორი  
**თ. ბაჩილიაძე.**

## განკარგობის მს გავნა ჩვევა

ციალური ღეკრეტი არ დართო ხალხს ამის ნება.

მეცნიერებმა თამბაქოს კვამლი 30-ზე მეტი სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება იპოვეს, რომელთაგან ბევრი ჯანმრთელობისთვის აშკარად სახიფათოა. მათ შორის შხამიანი ნივთიერებები: ამიაკი, სხვადასხვა მეთავეები და რა თქმა უნდა, ნიკოტინი. ერთი კოლოფი ნიკოტინის ბოლი 125 მილიგრამ ნიკოტინს შეიცავს, რომლის 20 პროცენტზე მწვეველის ორგანიზმში რჩება.

თუ რა ძლიერი შხამია ნიკოტინი, კარგად ჩანს ამ მონაცემებიდან: ნიკოტინის ერთი წვევის მეოთხედი კლავს კურდღელს, ნახევარი წვეთი — ძალს, რვა წვეთი — ცხენს. ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათოა 50-75 მილიგრამი ნიკოტინი. ესე იგი, თამბაქოს მწვეველი ერთი დღის განმავლობაში შხამის სასიკვდილო დოზას იღებს. და თუ არ კვდება მხოლოდ იმიტომ, რომ დღის განმავლობაში ორგანიზმში ნიკოტინის

თამბაქოს წინააღმდეგ დღეს ყველანაირად დაუნდობელი ბრძოლა გაიმოქმედებულია. ჩვენს ქვეყანაში, მაგალითად, თამბაქოს ნაწარმის რეკლამა არ ხდება. სივარეტს არასრულწლოვანი ვერ იყიდის. თამბაქოს მოწვევა აკრძალულია მეტროში, ტრამვაში, ტროლეიბუსში, ავტობუსში. მწვეველთა უფლებას აეროფლოტიკ მკაცრად ზღუდავს, მეტიც: თამბაქოს მოწვევა ბევრ რესტორანშიც კი აკრძალა.

სივარეტის ხანგრძლივი წვევა იწვევს:

1. თავის ტვინის სისხლძარღვთა სკლეროზს, თავის ტვინიდან და მესიერების დაზიანებას.
2. გულის აჩქარებულ მუშაობას, სისხლძარღვთა კედლების შეფიწროებას და წნევის გაზრდას.
3. სასუნთქი გზების გაიზიანებას და მათ ქრონიკულ ანთებას, ფილტვების დაზიანებას.
4. ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნას და გავრცელებას.
5. მადის გაუარესებას და საქმის მონელების მოშლას.

### უიქრობს, პურკონებს...

კრისტინ ოტო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე, ლაიფციგის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია და სპორტულ უნივერსიტეტში იცნებობს. ბევრთი და ნიჭიერი სტუდენტი ჯერჯერობით ბერლინის რაიონის უმეტეს კორესპონდენტია, რომლის საკუთარ მიმოხილვებს მოუთმენლად ელიან ახალგაზრდები.

ევეროპის ხუთჯობის ჩემპიონის ზოგჯერ უნივერსალურ მოცურავეს უწოდებენ და არც თუ უსაფუძვე-

ლოდ. წლებულ სტრასბურგში, ევეროპის ჩემპიონატზე, მან პირველი ადგილი დაიკავა თავისუფალი სტილით, ბატერფლაითა და გულადმა ცურვაში. რაღა დარჩა? მხოლოდ ბრასი, თუმცა... ოტო გულახდილად აღიარებს, რომ ამ სახეობაში წარმატების მისაღწევად ნიჭი არ ჰყოფნის.

მიმოხილვებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეორე ასეთი მოაზროვნე სპორტსმენი არ არის. ოტოს სპორტზე ფილოსოფიური მსჯელობა მართლაც უყვარს და ხშირად საყუ-

რადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს. „წყალი, — ამბობს იგი, — ადამიანისთვის უცხო გარემოა. მასთან შეგუება დიდ შესაძლებლობებს წარმოშობს, განსაკუთრებით შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით.“

ოტოს მიაჩნია, რომ მოცურავეებს შესაძლებლობათა მაქსიმუმი ჯერ არ უჩვენებიათ, ამიტომ რეკორდების გაუმჯობესება არა თუ საკმაოდ, გარდუვალიც არის. განსაკუთრებული წარმატების მიღწევა შეიძლება ცურვის ისეთ ფაზებში, როგორცაა სტარტი და მოხვევა, სადაც ადამიანი ჯერჯერობით თავისი შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ იყენებს.

**გადაცემის ბელაფონები:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
სამდიანა — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-55,  
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

**გადაცემის ბელაფონები:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
სამდიანა — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-55,  
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

**გადაცემის ბელაფონები:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55,  
სამდიანა — 93-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-55,  
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

საქართველოს კვ-ცხ გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07254